# სამშობლო

ნ. I 1915 წ.

ოთხშაბათი 13 მაისი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი [illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 77 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 77


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

ქვრივი კნეინა მინიკა მიხეილის ასული, შვილები გიორგი და ქულიჯა-ბეგ ფარსადანის ძენი მიქელაძეები, დისწულები ვანო, სიმონი და ალექსანდრე დავითის ძენი ჯაფარიძეები უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უეცრათ გარდაიცვალა, პირველის—უსაყვარლესი მეუღლე, მეორეს—უძვირფასესი მამა და მესამეთა—ძვირფასი ბიძა

**პოლკოვნიკი თავ. ფარსადან გიორგის ძე**

**მ ი ქ ე ლ ა ძ ე.**

დაკრძალვა მოხდება დღეს ოთხშაბათს, 13 მაისს, სოფ. კულაშში, საგვარეულო სასაფლაოზე, ჯვარცმის ეკლესიაზე, დილის 10 საათზე.

1—1

---

გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ გადაცვალებას კბილის ექიმის

**პროფილე გიორგის ძის მახარაშვილისას.**

მისი ძმა დანიელ გიორგის ძე მახარაშვილი, და გაიანე გიორგის ასული პაპუაშვილისა, რძალი ვერა პეტრეს ასული მახარაშვილისა, სიძეები: ნიკოლოზ თემურაზის ძე ჟორჟოლაძე და გედეონ ბაგრატის ძე პაპუაშვილი.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე, თავის ბინაზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1—210.

---

მღვდელი ერასტი ჯიბლაძე და ეფროსინე ჯიბლაძისა, შალვა, კონსტანტინე, ვლასი, აკვილინა, ალექსანდრა, პულია ჯიბლაძეები, მღვდელი ტიტე ლეჟავა და ეკატერინე ლეჟავასი ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი შვილის, ხოლო უკანასკნელი ძმის და ცოლის ძმის ოდესის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტის

**ამბერკი ერასტის ძის ჯიბლაძის**

გადაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია დღეს ოთხშაბათს, 13 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ს. კულაშში.

1—1—211

---

**ევგენი, ჟულიეტა, მერი, დავით, ბელვასი, ვალოდია, მიშა და ნინა ებრაელიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი მეუღლის, მეორენი საყვარელი დედის, უკანასკნელები ძვირფასი რძლის

**მაგნოლია კაცია ქლენტის ასულის ებრაელიძისას,**

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 14 მაისს, დ. ლანჩხუთში გუმბარაულის წმ. გიორგის ეკლესიაში, ნაშუადღევის 2 საათზე.

1—1—209

---

მშობლები: **ტერეზია** და **კაცია**, ძმები: **ანტონ, მიშა** და **გიორგი**, დები: **გულნარა, ნინო** და **თამარი**, რძლები: **ეკატერინე** და **ნინო** გულმწუხარენი აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებთა და მეგობრებს უდროვოთ გარდაცვალებას.

**მაგნოლია კაცია ქლენტის ასულის ებრაელიძისას.**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 14 მაისს, დ. ლანჩხუთში.

1 --1

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**ექიმი ე. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დილით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

ანონსი.

კვირას, 17 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება

**დიდი სალიტერატურო-დრამატიულ-მუსიკალურ-იუმორისტიული,**

## ს ა ღ ა მ ო

საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

ანონსი.

---

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

**თა-დი დ. ო. ნიჟარაძე** ამით აცხადებს, რომ 15 მაისს ამა 1915 წელს, დილის 10 საათზე, დანიშნული არის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება განსახილველად და გადასაწყვეტათ რამოდენიმე საყურადღებო კითხვებისა.

1—1

---

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც

**ხ. ხრისტოდულიდის**

მოუცილებელ საწარმოდ გვცნობთ, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი,** რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს.** თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

დაიბეჭდა და იყიდება **ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

## „Н О В О Е   С Л О В О“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

---

**გაბრიელ იოსების ძე**

**ექიმი გოკიელის**

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.**

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

---

**კბილის ექიმები**

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**კაბინეტი** მასსაჟის და სამკურნალო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთქლის ვანა,** რომელიც ჰშობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ვუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**დ. ყვირილაში.**

## სტუდენტი

**ვარლამ ფერაძე**

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ვამზადებ** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

**მისამართი:** ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათაშვიძის სახლი. 14—9—187

---

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 10 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გეზით სროლა გრძელდება. ვანის გეზით ჩუსაგადუკის უღელტეხილის რაიონში ბრძოლაა.

**პეტროგრადი.** 10 მაისი. მთავარ სარდლის შტაბის ცნობა. შავლის რაიონში მტერს კიდევ უჭირავს გამაგრებული პოზიცია ბუბისთან. როსსიენის რაიონში მტრის საგრძნობი ძალები დუბისის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ ჩვენ ისინი უკანვე გავრეკეთ. ნარევის ფრონტზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში. ვისლის მარცხენა ნაპირზე მტერი ცდილობდა არტილერიის დახმარებით ჩვენი მზვერავი რაზმის გაფანტვას რავკის მარცხენა ნაპირზე. პილიცის სამხრეთით, კლიმენტოვის რაიონში, მტერი სცდილობდა იერიშის მოტანას. 5-ს კონტრ იერიშით ჩვენ მტერი გავდენეთ და 1000 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ და 4 ტყვიისმტყორცნელი. გალიციაში მტერი მოგერებითი გზას დაადგა. ვისლასა და პერემიშლს შუა ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ სანის მარცხენა ნაპირზე და მტრის ოთხი კონტრ იერიში მოვიგერიეთ რუდნიკის რაიონში. სანიავის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ მტერი გავდენეთ სოფ. დობრადგან. 9 ამ თვეს ჩვენმა ჯარმა დნესტრის რაიონში იერიში მიიტანა და 900-მდი ტყვე წამოიყვანა და 4 ტყვიის მტყორცნელი იხელთა. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, კლინფოს რაიონში, 8 ამ თვეს ცხარე ბრძოლა იყო. მტერმა რამდენჯერმე 100 ნაბიჯით მოახწია ჩვენ სანგრებამდის, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუვაქციეთ ხოლმე.

**რომი.** 9 მაისი. ბევრი სტუდენტი და დეპუტატები მოხალისეებათ ეწერებიან. იტალიის პრესა ხალხს მოუწოდებს ერთობა დაიცვან. 11 საათზე სანინომ მიიღო ავსტრო-უნგრეთის საელჩოს მდივანი, $1/4$ საათის შემდეგ მიიღო სამხედრო მინისტრი ცუპელი. ცოტახნის თათბირის შემდეგ სონინომ მიიღო შვეიცარიის ელჩი.

**იტალიის ელჩის შეურაცხყოფა.**

**სტოკჰოლმი.** 9 მაისი. ბერლინიდან ოფიციალურათ იუწყებიან: როდესაც იტალიის ელჩი ბოლოტი 7 მაისს, საღამოს საელჩოს სადგომიდან გამოდიოდა, ერთმა ახალგაზდამ, ელჩს თავიდან ქუდი გადაუგდო. ახალგაზდა აქვე მყოფმა ხალხმა გალახა და პოლიციას გადასცა. კანცლერმა ამ ინციდენტის გამო ბოლოტის მწუხარება გამოუცხადა.

**იტალიის პალატის სხდომის გადადება**

**სტოკჰოლმი.** 9 მაისი. რომიდან იუწყებიან, რომ იტალიის პალატის სხდომები გადაიდვა განსაზღვრულ დროით.

**იტალიასა და ავსტრიის შორის მიმოსვლა შეწყდა.**

**რომი.** 9 მაისი. ავსტრიისა და იტალიის შორის თითქმის ომიანობის დამოკიდებულებაა: საზღვრები დახურულია, მიმოსვლა შეწყდა, 1500 იტალიელი მგზავრით მომავალი მატარებელი ავსტრიელებმა გააჩერეს, მგზავრები გამორეკეს და მთელი დღე ცის ქვეშ დაყარეს უსაზრ-

დოოთ. ჟანდარმებმა ხალხს აუკრძალეს მგზავრებს დახმარებოდნენ. ღამის განმავლობაში ქალებს ორი ძუძუს ბავში შეაკვდათ ხელზე. მხოლოდ მეორე დღეს მისცეს ნება ქალებსა და ბავშებს ფეხით გადასულიყვნენ საზღვარზე. შემდეგ მამაკაცებსაც მისცეს ნება. გერმანიაში რამდენიმე ათასი იტალიელი დარჩა. შიშობენ მათი მდგომარეობის შესახებ.

**რომი.** 8. პარლამენტისაგან მიღებული კანონ-პროექტის ძალით იტალიის მთავრობას ნება ეძლევა ომიანობის დროს გამოსცეს დადგენილება, რომელსაც კანონის ხასიათი ექნება. ნება აქვს აგრეთვე გასწიოს ხარჯები და დაფაროს ის არაჩვეულებრივი წყაროებიდგან.

### გემის დაღუპვა.

**ლონდონი.** ბირხვენის სამხრეთ დასავლეთით ნაღმმა ჩაძირა ირლანდიის გემი „გლენხოლმი", რომელიც ლივერპულიდგან მიდიოდა. კომანდა გადარჩა.

### მობილიზაცია.

**რომი.** 9. სტეფანიის სააგენტოს ცნობით მეფემ დეკრეტი გამოსცა ჯარისა და ფლოტის საზოგადო მობილიზაციის შესახებ. მობილიზაცია დანიშნულია 10 ამთვისთვის. რკინის გზები განაგრძობენ ჩვეულებრივათ მგზავრთა და ბარგის მიმოსვლა-გადაზიდვას.

**რომი.** 10. იტალიაში არმიისა და ფლოტის მობილიზაცია მოხდა. გამოცხადდა სამხედრო წესები შემდეგ პროვინციებში: სონდრიო, ბრეჩია, ვერონა, ვიჩენცა, ბელუნა, უდინო, ვენეცია, ტრევიზო, პადუა, ვერონა და ადრიატიკის ზღვის ნაპირებში და კუნძულთა ტერიტორიაში. ყველა ციხეებში საალყო წესებია.

### დასავლეთის ფრონტი.

**პარიზი.** 9. ჩვენმა ჯარმა დაამთავრა სანგრების გაწმენდა ბლანშნუაში მრავალი გერმანელია მოკლული. მრავალი ტყვეთ დავვნებდა. ტყვეთა ნამდვილი რიცხვი ჯერ არ არის გამოკვლეული. ღამით მტერმა რამდენჯერმე მოიტანა იერიში. მტრისათვის დიდი ზარალით ჩვენ იერიშები მოვიგერიეთ. ბლანშნუას სიმაღლე სულ ჩვენ ხელთაა. ჩვენ წინ წავიწიეთ სამხრეთ აღმოსავლეთით ნოტრდამდელორეტის ნიშიდგან. ჩვენ კორნედგან ასი მეტრის მანძილზე ვიმყოფებით აბლენის ჩრდილო აღმოსავლეთით.

### გერმანიის ჰაეროპლანი პარიზზე.

**პარიზი.** 10. გუშინ პარიზზე გადაიფრინა გერმანიის ჰაეროპლანმა და ჩამოაგდო რვა ყუმბარა. არავითარი ზიანი არ მიუყენებია არც შენობებისთვის და არც ხალხისთვის.

**ლონდონი.** 9. ფრენჩის ცნობა. გუშინ სენტიუბერის სამხრეთ აღმოსავლეთით ცხარე არტილერიის ბრძოლა იყო, მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ქვეითა ჯარიც. ინგლისელებმა წინ წაიწიეს კენარიუს სამხრეთით.

### ჰაეროპლანი პარიზზე.

**პარიზი.** 9. გუშინ პარიზზე გადაფრინდა გერმანიის ჰაეროპლანის, ფრანგულ ფერით შეღებილი, ჩამოაგდო სამი ყუმბარა და შემდეგ ფრანგ-მდევართ გაექცა.

### ინგლისის ახალი სამინისტრო.

**ლონდონი.** 9. ოპოზიციის ლიდერებთან თათბირის შემდეგ, რომელთა მოწვევაც სურთ სამინისტროში, ასკვიტი ერთი საათით ეთათბირა მეფეს.

გრენტთან მოხდა საშინელი კატასტროფა. სამხედრო მატარებელი 490 აფიცრებითა და ჯარისკაცებით დაეჯახა გზაზე მდგარ მატარებელს. სამხედრო მატარებელი ერთიანათ დაიმსხვრა. ამ დროს ლონდონიდან მომავალი ექსპრესი შეეჯრა ორი მატარებლის ნამსხვრევებში. გაჩნდა ცეცხლი. ყველაზე მეტათ სამხედრო მატარებელი დაზიანდა. ჯერ გამოიღეს ნამსხვრევებიდგან 73 მოკლულის გვამი. არის მრავალი დაჭრილი.

### დარდანელი.

**ბუქარესტი.** 9. ჯარის გზავნა გალიპოლის ნახევარ კუნძულზე გრძელდება, დარდანელიდგან გამუდმებით მოყავთ დაჭრილები. გალიპოლის ნახევარ კუნძულის ჯარის ნაწილი აზიის ნაპირზე გადაიყვანეს.

**სოფია.** 10. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე დიდი სისხლის ღვრა მოხდა. მოკავშირეთა ფლოტი ენერგიულათ ესვრის სანაპირო სიმაგრეებს. ნაპირების გასწვრივ ოსმალონი სანგრეებს აკეთებენ, — დიდი ყალიბის იარაღებს სდგავენ და მავთულის სიმაგრეებს აწყობენ.

### იტალიამ ავსტრო-უნგრეთს ომი გამოუცხადა.

**სტოკჰოლმი.** 11 მაისი. იტალიის ელჩმა ვენაში გერცოგმა ავარნამ გარეშე საქმეთა მინისტრს ბარონ ბურიანს ომის გამოცხადების ნოტა ჩააბარა.

### ომის შესახებ იტალიის მხრივ.

**რომი.** 10 მაისი. სტეფანიის სააგენტო იტყობინება: იტალია ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ თავს 11 მაისიდან საომარ მდგომარეობაში აცხადებს. ავსტრიის ელჩმა ჩაიბარა ბაშპორტები ნაშუადღევის 3 საათ. 30 წუთ. და რომიდან გამოვა ან საღამოს ან ხვალ დილით. იტალიის ელჩი ვენიდან დაიბარეს.

## „ახალ კვალს"

**„ნუ ჰსჯით თვალთ-ღებით, არამედ სამართლი სასჯელი ჰსჯეთ"!**

ასე უსაყვედურებდა იესო ნაზარეველი ურიასტანის გულმრუდე და სულ მოკლე ფარისევლებს, როდესაც ისინი ხალხსათვის თავდადებულ კაცს ცილსა სწამებდენ ხოლმე.

ამავე სიტყვებით უნდა მივმართოთ ჩვენც ჩვენ ახირებულ მარქსისტებს, რომელნიც ყოველთვის „ჰსჯიან თვალთ ღებით" და დღევანდლამდე იოტისოდენა სითბოს ვერ მიუღწევია მათ გულამდე და მეწვის ოდენა სხივსაც კი მართლ-მსჯელობისას ვერ გაუშუქებია მათი დიალექტიკით მოდუნებული და აბნეული აზროვნება.

ჩვენ კი გვეგონა, რომ „ახალი კვალის" გამოსვლით ძველი შეცდომების გასწორებას აპირებდენ და ამიტომ ვუსურვეთ კიდეც დღეგრძელობა „ახალ-კვალს". თურმე მოვტყუებულვართ! ახალ ქერქში ძველი გული გაუხვევიათ და ბრჩხილების მაგიერ, ბრჭყალები აუსხავთ.

დიდმა სურვილმა მათის გამოსწორებისამ ქვეყნისა და მშრომელი ხალხის სასარგებლოთ, დაგვავიწყა ძველი ბრძნული ანდაზა: კუზიანს მარტო სამარე გაასწორებსო...

ჩვენ გისურვეთ თქვენ ყოველი ჯურისა და ფრაქციის, ბატონო ჩვენებურო მარქსისტებო, გამოფხიზლება და სიკეთე, მაგრამ რახან არა გნებავთ სიკეთე იგი, ღმერთმა ნუ მოგცეთ!

რაც შეეხება თქვენ ბრძანებას: „რომ ნაციონალისტები აჰყლიპინდენ... (ბარაქალა თქვენ ენა-პირს!) (მაგრამ)... ისინი ვერ დაამტკიცებენ იმას, რომ ჩვენ წინათ სამშობლოს არ ვცნობდითო" (ცნობაც არის და ცნობაც, თქვე დალოცვილებო!) და სხვა. აი, რა უნდა მოგახსენოთ პირდაპირ და გადაჭრით. ქარის წისქვილებთან ბრძოლა თქვენი საქმეა, ბატონებო. ჩვენ კი არც გვიმტკიცებია, რომ რომელიმე ჭკუათამყოფელი ადამიანი უარ ჰყოფდეს სამშობლოს მნიშვნელობას და არც დავიწყებთ ამის დამტკიცებას. ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებდით და, როცა გნებავთ კვლავ დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ, ჩვენებურმა მარქსისტებმა, ამ ხუთმეტი—ოცი წლის განმავლობაში ისე დაუმახინჯეთ თქვენ მიმდევრებს ცნება-სამშობლო, როგორც „ჭეშმარიტმა რუსებმა და მთელი ქვეყნის კაცი-ჭამიებმა დაამახინჯეს ფრანგული სახელწოდება მრავალტანჯულ ებრაელებისა Iud, Iude და საგინებელ სიტყვათ გადააქციეს.

თქვენ, ბატონებო, აფთრებივით დაესიეთ ყველას, ვინც კი სამშობლოს სახელითა და სამშობლოს სასიკეთოთ ლაპარაკობდა, თუ მოქმედებდა და ისე შეაძულეთ თქვენ მიმდევრებს, რომ გასაქანი აღარა ჰქონდათ.

არა გჯერათ? აბა შეეკითხეთ თქვენ მიმდევარ მუშას, ნოქარს, უმუშევარსა თუ სამუშავრიან ჩვენებურ „პროლეტარს" რა არის-თქო სამშობლო, თუ ცხვირი ეშმაკებისკენ არ წაიღონ და ჩვენი ქვეყნის მოამაგენი „მამულიშვილებათ" (ბრჩხილებში) და „ხულიგანებათ" არ მოიხსენიონ! თქვენ დაჰყვით, დააკნინეთ საქართველოს შვილთა ისედაც სუსტი ძალები, თქვენ დაქსაქსეთ, ერთმანეთს გადაჰკიდეთ, გააბოროტეთ უიმისოდაც გზა-აბნეული ჯგუფები ქართველთა და ისეთ დღეში ჩაჰყარეთ იგინი, რომ დღეს ორ კაცს ერთად მუშაობა აღარ შეუძლია.

თქვენ გაამასხარავეთ სიტყვა **სამშობლო და მამულიშვილობა**, თქვენ სასაცილოთ გახადეთ იგი და გულ-გონება მოუშხამეთ ახალ-თაობას (იხ. ფ. მახარაძის „მოგზაური" და სხვა თქვენი გამოცემანი 1908 წლამდე). არა გჯერათ?

მოიარეთ მთელი საქართველო, დაუკვირდით სოფლელთა ურთიერთობას, მეზობლობას, ნათესაობას, რწმენას, ზნეს, ჩვეულებას, ადათს.

ყველაფერი აირია, დაწვრილმანდა. დაიკარგა მეზობლობა, დაიკარგა სალამიც კი!

თქვენ გაწიწმატდებით ამ ჩემ ნათქვამზე, მაგრამ ახლა ის იკითხეთ, როგორია ჯავრი და ბოღმა იმ ადამიანისა, რომელიც ხედავს თავის ქვეყნის დაღუპვას, თავის წმინდათა-წმინდის შებღალვას!...

დრო ბოლო მოეღოს ყოველგვარ თაღლითობას! დროა ითქვას ის, რაც სათქმელია, დროა ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეს ჩვენი ხალხის მდგომარეობა, რომელმაც უკიდურესს ზნეობრივსა და გონებრივ არევ-დარევამდე მიაღწია...

და აი, ამ მდგომარეობაში რომ „ახალი კვალი" გამოვიდა, ვიმეორებთ, ჩვენ გვეგონა, რომ ძველი ცოდვები გამოსწორდებოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ახალი გაზეთიც ძველ გზას არა სტოვებს და თავის მეორე ნუმერშივე უზრდელათ ილაშქრებს ჩვენ წინააღმდეგ.

**„დროა ამ წვერულვაშიან(?) კაცებმა (?) ბავშვების ასაკიდან გამოვიდნენ** (აი, დაგიმშვენდათ ენა!?)

იმისაგან, ვინც წერა-კითხვა და ლაპარაკი არ იცის, პირდაპირ საწყენი არაფერია, მაგრამ საწყენია ის, რომ ამისთანა უვიცებს, ამისთანა მექართულეებს თავისი მიმდევრები ჰყავთ და კაჰკაჰით გაიმეორებენ ასეთ ჩიქორთულებს...

ჩვენ არას ვიტყოდით, რომ ასეთი ჩიქორთულები სიტყვის ან უცაბედი წამოსროლა იყოს, ან უნებლიეთი შეცდომა, მაგრამ როცა მთელი ორგანო მუშა ხალხისა ჩიქორთულობს აზრითაც და ენითაც და სხვას კი ჰკუას ასწავლის, შეუძლებელია ადამიანმა ანგარიში არ გაუწიოს ასეთ მავნებელ მოვლენას....

და ვიდრე ამოვიწერდეთ ამ შეცდომებს „ახალ კვალიდან" და დავამტკიცებდეთ სრულ უმეცრებას მისი ხელმძღვანელებისას, როგორც ენის მხრივ ისე გულ-ღრმა აზროვნების მხრივ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის შენიშვნა, რომელსაც ჩვენ გვაძლევს „ახალი კვალი" და რომელიც **უსაქმური კაცის** ჩხირკედლაობას მოგვაგონებს.

შემთხვევით ჩვენი დეპეშების მთარგმნელს სიტყვა „ევრეი" გადმოუთარგმნია „ურიათ". მართალი მოგახსენოთ არც შეგვიმჩნევია, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი საკიცხველი არ არის და ვინც გვიკიცხავს, მხოლოდ თავის უმეცრებასა, უვიცობასა და ქვენამგრძნობლობას ამტკიცებს:

გადაშალეთ **სახარება მათესი.**

თავი 19, მუხლი 1.
„ 24 „ 16
„ 27 „ 11, 29, 37, 42.

**სახარება მარკოზისი.**

თავი 7, მუხლი 3.
„ 10 „ 1
„ 16 „ 2, 18, 32.

**სახარება ლუკასი.**

თავი 1, მუხლი 5.
„ 2 „ 4.
„ 3 „ 1.
„ 7 „ 17.
„ 23 „ 3.

**სახარება იოანესი.**

თავი 3, მუხლი 1.
„ 4 „ 3, 54.
„ 5 „ 1, 2, 10, 12, 15, 18.

გადაიკითხეთ ამავე მახარობლის სახარების მე—6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 18 და 19 თავი და ვისაც ქართული „ურია" რუსული „ჟიდი" ჰგონია ის, უმეცარია და ღირსი არ არის, რომ ქართულ გაზეთს სათავეში უდგეს*). არ არიან ღირსნი მით უმეტეს, რომ სრულიად არ იციან ქართული წერა და გამოთქმა აზრებისა. აი მაგალითებიც**): (დაიწყეთ თავიდან და გადაიკითხეთ „ახალი კვალი" № 2).

1) **ყველა შიმშილზე ლაპარაკობს მაზედ სწერს, მაზედ ფიქრობს.**

2) აკრძალულ ხილს არ წარმოადგენს, ჰპირ იქით **წაქეზება**შია.

3) **დამშეულია დასავლეთ** (!) საქართველოს ერთ მილიონიან **მცხოვრებლებით** (მცხოვრებლებით არის დამშეული?)

4) მაგდენსაც არაფერს ნიშნავდა...

5) აქ გლეხი მამასისხლათ აჯავლებულ(?) (ფულს) აძლევს სიმინდში.

6) ხალხი აჰკუნების (!) ამარაა მიტოვებული.

7) ასე იქნება სანამ, მანამ... (!)

8) საჭიროა თავის **აჰკუნების** (!) მაგიერ თავის ბედ-იღბლის **თავისსავე ხელში აღება** (!)

9) **საკვდილმა შეუშალა მას** ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოში შეეტანა.

10) დრო კია ამ **კაცებმა** ბავშობის ასაკიდან გამოვიდნენ (კაცებმა გამოვიდნენ ?)

11) **რომ** მანაც ჩაერია ამ საქმეში.

12) ერთი ლონდონის ფირმა. (თუ ლონდონის ერთი ფირმა?)

13) საქმე **დახურულ კარებში** (?) გაირჩა

14) ფაბრიკა დახურული იყო გასული წლის ბოლოდან (ბოლოდან იყო დახურული?)

15) **პურის ნაფცქვენებს** (!) დაეძებენ.

16) **ხმის მიცემის დროს თავი დაჭირეს** (!)

17) ამიტომ ჩვენი **ფრაქცია თავს იჭერს** (!)

18) მაგრამ არიან **ისეთებიც**, რომლებიც ყოველ გვარ ასეთებს გვერდს უხვევენ.

19) საჭიროა **ასეთებმა** (!) **გონს მოვიდნენ**...

20) **ესენი მომხრეა** (!) ომში ჩარევის.

21) სწორეთ ამ თეორიულმა დებულებებმა გვაიძულა ჩვენ **აგვედირებია** (?!) მსოფლიო ომი **აუცდენელ აუცილებლათ** (?!)...

(ამ წინადადებაში შეიძლება კორექტურული შეცდომებიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ვერ არის კარგი ქართული. მრავალი კორექტურული, გრამატიკული და სინტაქსიური შეცდომაა თვით ბ-ნ ან —ის წერილშიც).

და ათასი ასეთი აბდა უბდა, რომლის ამოწერასაც სწორე მოგახსენოთ, მადნებში მუშაობა სჯობია.

პირველი კლასის მოწაფემ რომ ჩაიდინოს ასეთი შეცდომები, „ერთს" დავუწერდით და პირველ დაწყებით გრამატიკას მივცემდით ხელში. თქვენ კი, ბატონო „ახალო კვალელებო", მუშათა გაზეთს აწარმოებთ და უიმისოდაც შევიწროვებულ ენას ამახინჯებთ, ამახინჯებთ **განგებ და თავისებურათ.**

და ამის შემდეგ განა თქვენ უნდა გვიკიცხოთ რამე უნებლიეთი შეცდომა?

*) ურია, ისრაილი და ებრაელი ერთი და იგივე საპატიო სახელია.

**) ჩვენ ამოვიწერეთ ათასში ერთი მაგალითი.

## ახალი ამბავი.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის პავლეს ასული მარიამი ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურობის მარშალს. იასონ გელოვანს დეპეშით სთხოვს მფარველობა გაუწიოს და დახმარება აღმოუჩინოს ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ლეჩხუმის მაზრისა და სვანეთის მცხოვრებ დაჭრილ ჯარისკაცებს. ყოველივე ხარჯს დიდი მთავრინა კისრულობს.

✦ გუშინ, 12 მაისს, ქუთაისურ ქალთა საზოგადოების გამგეობის თავჯდომარემ ქ-ნმა ოლღა ქორქაშვილმა ბ. ქუთაისის გუბერნატორს წარუდგინა უფასო სასადილოს მომწყობი კომისიის მოხსენება, რომლითაც ბ. გუბერნატორს სთხოვენ მისცეს კომისიას ფული ხაზინიდან, რომ ჯარში გაწვეულთა ოჯახების ბავშვებს პური დაურიგონ.

✦ კვირას, 10 მაისს, ქალაქის ბაღში ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. გამართა სახალხო სეირნობა. სეირნობას საზოგადოება ბლომათ დაესწრო. სეირნობიდან საზოგადოებას 2800 მანეთამდი შემოუვიდა.

✦ ხუთშაბათს, 14 მაისს, თავის სახელობითი სკოლის სასარგებლოთ, ქალთა საზოგადოება სეირნობას მართავს.

✦ სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ საღამოს კურსები კანიკულების გამო 8 მაისიდან დაიხურა. კურსებზე მეცადინეობა მომავალი სექტემბრიდან განახლდება.

✦ ვოლგა-კამის ბანკის ქუთაისის განყოფილება გადავიდა ახალ ბინაზე ალექსანდრეს ქუჩაზე ექ. გოკიელოვის სახლში.

✦ 16 მაისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქართულ დრამატიული საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

✦ ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფეებს წლიური გამოცდები 11 მაისს დაუსრულდათ. მერვე კლასის მოწაფეებს კი 164 მაისს დაუსრულდებათ. მეექვსე კლასის გამოცდებმა საზოგადოთ კარგათ ჩაიარა.

✦ ორშაბათს, 11 მაისს, ქალაქის თეატრში მსახიობმა ქილარჯიშვილის ქალმა გამართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა კ. მესხის ცნობილი პიესა „შოთა რუსთველი." წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. ხალხიც ბლომათ დაესწრო.

✦ ექიმმა მ. ლორთქიფანიძემ გიორგი სვანიძის ობლების [illegible] შეწირა 3 მან. ფული [illegible] გადაეცა.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ქ-ნ გოკიელოვისას, რომელმაც 20 მან. შესწირა ამავე საზოგადოების სახელობითო სკოლას.

✦ გუშინ ოკრიბიდან ჩამოვიდა რამდენიმე გლეხი, რომლებმაც გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრეს, რათა მთავრობამ სიმინდით დახმარება აღმოუჩინოს მათ. ოკრიბაში ამ ჟამათ დიდი შიმშილობაა.

✦ სენაკის მაზრაში ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ მოხდება: 1. დ. ახალსენაკში 3 ივნ. 15 ივნ-დე. 2. დ. ბანძაში 24 მაის. 2 ივლ. და 3. ნოღლევში 15-დან 23 მაისამდე.

### თეატრი.

კვირას, 17 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო 4 განყოფილებათ. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. ამ საღამოზე გ. არადელი-იმხნელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება აქვსენტი ცაგარლის პიესა „მათიკო". ბ. არადელი-იმხნელი ამ დღეს უკანასკნელათ ითამაშებს. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ადგილობრივი მწერლები. თბილისიდან მოწვეულია მგოსანი ი. გრიშაშვილი. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერლები.

## წერილი ტფილისიდან.

კვირას, 3 მაისის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს თაოსნობით გადახდილ იყო დიდუბის ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვა და წირვის შემდეგ განსვენებულის ისტორიკოსის დ. ბაქრაძის საფლავზე პანაშვიდი. დაესწრნენ საბჭოს და საზოგადოების წევრნი, ქართულ კულტურული დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი პატივისმცემელი განსვენებულისა. წირვა და პანაშვიდი გადაიხადა დიდუბის ტაძრის წინამძღვარმა დეკ. ი. მირიანაშვილმა. გალობდა მეტად ტკბილად ადგილობრივი ეკლესიის ქართული გუნდი დიაკონის კ. ჩეტკერაშვილის ლოტბარობით. პანაშვიდის დაწყების წინ მამა მირიანაშვილმა მიმართა საზოგადოებას შემდეგი სიტყვით:

დღეს შევიყარენით ჩვენ, სთქვა მირიანაშვილმა, რათა ოცდა ხუთი წლის თავზე დღიდან გადაცვალებისა ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსის და არხეოლოგის დიმ. ზაქ—ძე ბაქრაძისა, შევავედროთ სული მისი უზენაესს. შევიყარენით მისი პატივისმცემელნი, რათა სიყვარულით და მადლობით მოვიხსენიოთ განსვენებულის დიდი ღვაწლი და ამაგი ჩვენის ქვეყნისადმი. ჩვენ აქ არ შევუდგებით გამოვიძიოთ ისტორიის მნიშვნელობა ერისა და ხალხისათვის; არც ვიტყვით იმას, თუ რაოდენი ღვაწლი და ამაგი დასდვა ჩვენი წარსულის შესწავლას. განსვენებულის მოღვაწეობაში მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო და ხაზგასმით აღვნიშნო ერთი გარემოება და მოვლენა; ეს მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ განსვენებული იყო იმ დროს მარტო ერთადერთი, რომელმაც შექი მოჰფინა და გაანათა წყვდიადი ჩვენის წარსულისა. მას სხვა არა ჰყავნდა მოძმე და თანაშემწე ამ უდიდეს საქმის განხორციელებაში და ხომ მოგეხსენებათ, რა ძნელი იყო ამ პირობებში განსვენებულის მოქმედება-მოღვაწეობა. დიდ ბუნებოვანმა ადამიანმა, შემოქმედების ნიჭის პატრონმა, სძლია ამ დაბრკოლებას და მაგრად ჩასჭიდა ხელი ჩვენის დიდებულის წარსულის კვლევა-ძიებას. ეს დიდებული წარსული, ჩვენთვის წყვდიადით მოსილი, მან გაგვინათა, ფარდა ახადა და რა შეიტანა სინათლე, დაგვანახა დიდება და მშვენიერება ჩვენის წარსულისა, ჩაგვინერგა ამ დიდებული წარსულის სიყვარული და მით დაგვაკავშირა აწმყონი წარსულთან. ამ ღვაწლით გულში დანერგილი სიყვარული წარსულისადმი გადაიქცა მტკიცე საძირკვლათ ჩვენი ახალთაობისათვის უფრო იმედიანის მოქმედებისა და ბრძოლისა საუკეთესო შომავლისათვის.

აი, ამისთანა მოამაგე ადამიანის ხსოვნას ვიგონებთ დღეს, ვევედრებით მისთვის

უფალს და ვსთხოვთ, რომ განსვენებულის მიერ ანდერძათ დატოვებული სიყვარული ჩვენის წარსულისადმი ღრმად ჩაგვინერგოს გულში, რითაც სული მისი განიხარებს ფრიად, დაინახავს რა სიყვარულს ჩამომავლობისა მის მიერ დათესილ და ღრმად ჩანერგილ ამაგისადმი. რაოდენ ნეტარებას განიცდის მისი სული, როცა ხედავს მის ძეგლთან შემოკრებით არა ერთსა და ორს მისი ღვაწლის პატივისმცემელთ, არამედ მთელ საქართველოს საზოგადოებას ისტორიისას და ეტნოგრაფიისას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დიდებულო მკვლევარო ჩვენის წარსულისა და ჩამნერგველო უდიდესის სიყვარულის ჩვენის სამშობლოსადმი.

**შემთხვევით დამსწრე.**

# ღია წერილი.

ჩვენი ძვირფასი, დაუღალავი მუშაკის ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიმართ!

დაუღალავო მუშაკო!

თქვენ დაუფასებელი შრომა მიგიძღვისთ ჩვენ-ქართველ მაჰმადიანების წინაშე. და დღეს თუ შესაფერისათ ვერ გაფასებთ— ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ შემდეგშიაც ასე დარჩება. ჩვენშიაც მოიფინება სწავლა-განათლების სხივები. ჩვენც დავადგებით სწორ გზას, და მაშინ კი, თქვენ ღვაწლს ერთი ორად დავაფასებთ, და თქვენი სახელი და დიდება უკვდავად დარჩება ჩვენში. ამასთან ერთად მსურს შემდეგი მოგახსენოთ: წავიკითხე თქვენი წერილი „თანამედროვე აზრში“ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ წიგნების თაობაზე. როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, რამდენიმე წიგნი გქონიათ დაუბეჭდავი და გსურთ მათი დაბეჭდვა. ეს ძალიან სასიამოვნოა: მაგ მასალების შეგროვებაში, ეჭვი არაა, დიდი შრომა მიგიძღვისთ, ამიტომ, ჩემის აზრით, თქვენ თუ გსურთ, რომ თქვენ მიერ გამოცემულმა წიგნებმა ნაყოფი მოუტანოს ქართველ-მაჰმადიანობას, აუცილებლათ საჭიროა მოიწვიოთ კომისია ქართველ-მაჰმადიანებისაგან, რომელ კომისიაშიც იქნებიან ერთი ან ორი შეგნებული ხოჯა, და ორი ან სამი გავლენიანი და შეგნებული პირნი. მათი თანადასწრებით გაარჩევთ თქვენ მიერ გამოსაცემ წიგნებს და მათი მოწონებით დაისტამბება. ამგვარათ გამოცემულ თქვენ წიგნებს, თვით უკიდურესი ფანატიკი, თუ ქობულოელი სრულის ნდობით შეხედავს და გულმოდგინეთაც წაიკითხავს, რაც უზომო ნაყოფს გამოიღებს. წიგნებს ზედ ექნება წარწერა, რომ იგი კომისიის თანადასწრებით შემუშავდა და ისე გამოიცა.

ამას გარდა, თქვენ გამოსაცემ წიგნებთა რიცხვში, შემდეგი სათაურით გამოსაცემი წიგნიც არის მოხსენებული: **ქართველების გათათრება**“. პირადათ მე ამ სათაურს ვერაფერი ვერ გავიგე და უმორჩილესად გთხოვთ მაცნობოთ: ზემოხსენებული სათაურით გამოსაცემი წიგნი რომელ მხარეს ეკუთვნის?

პატივის ცემით **ჰაიდარ ბეგ აბაშიძე.**

## ცილის წამების გასაბათილებლათ

(შაბიამანის გაძვირების გამო)

**წერილი რედაქციის მიმართ.**

ეს ერთი ხანია ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ ჩვენ საზოგადოებაში შაბიამანის გაძვირებაზე. სამართლიანათაც—შაბიამანი ერთი უსაჭიროესი ნივთია ჩვენი მხარისათვის, ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა. მიწის მოქმედება, მეაბრეშუმეობა და მევენახობა—აი სამი უმთავრესი დარგი მეურნეობისა, რომელიც კვებავს და ასაზრდოებს ჩვენს ხალხს.—ამ სამ სამეურნეო დარგთა შორის შემოსავლის მხრით უპირველესი ალაგი უჭირავს მევენახეობას.—მიუცილებელია,—ვისაც სურს ვენახს მეტი ნაყოფი გამოადებინოს, მან აუცილებლად შაპიამანით უნდა უწამლოს მას—წინააღმდეგ შემთხვევაში ვენახზე დახარჯული შრომა უნაყოფოთ რჩება.—აი, ასეთი უსაჭიროესი ნივთის—შაბიამანის—გაძვირებამ ჯეროვნად მიიპყრო პრესისა, და საზოგადოების ყურადღება და განმეორებით დაცხნენ— სამართლიანადაც.

შაბიამანის გაძვირების მთელ ბრალდებას ვაჭრების მსუნაგობას და უზომოდ გამდიდრების მადის გაღვიძებას აწერენ. „დრო იხელთეს ვაჭრებმა და მშვიდობიანობის დროს იაფად ნაყიდ საქონელს—18-19-20-22-25 მანეთად ყიდიანო“. მეც მაიძულა ამ ახმაურებამ პრესის საშუალებით პასუხი გამეცა. არას ვიტყვი სხვა ვაჭრებზე, ისინი არ საჭიროებენ ჩემს „აპეკუნობას“, დე-ყველამ თავის მოქმედებაში, თუ საჭიროდ დაინახავს, თვით აგოს პასუხი—მე-კი ჩემდა თავად მათ საპასუხოთ, რომლებმაც იციან რომ მე არავითარი წილი არ მიმიძღვის შაბიამანის გაძვირებაში, მაგრამ მაინც, პირადი მტრობით, ჩემზე ხმას ავრცელებენ—თითქო ვსარგებლობდე განსაკუთრებითი დროით და შაბიამანს ვყიდდე 18-25 მანეთამდი ფუთს, შემდეგი უნდა ვუპასუხო: შაბიამანი ერთ ფირმიდან შევიძინე შარშან ნისიად ინგლისური ფულის „სტერლინგის“ ანგარიშზე. მაშინ „სტერლინგის“ ღირებულობა იყო 9 მან. 50 კაპიკამდი, ომის გამოცხადების შემდეგ, როცა ნაყიდი შამიამნის გამოყიდვის ვადა დადგა, ღირებულობა „სტერლინგის“ მოულოდნელად შეიცვალა 11-13 მანეთამდი. იანგარიშეთ ფულის სარგებელი (%%) დასაზღვევი (страховка) შესანახი (храненіе) შეუფარდეთ ყოველივე ამას „სტერლინგის“ ღირებულობის განსხვავება (курсовая разныца) და აუცილებლათ, ვინც საქმის ნამდვილ ვითარებით ხართ დაინტერესებული, მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ შაბიამნის ფასი წელს რვა მანეთი ჩვეულებრივია. მე კი 80-85 % მთელ-მთელი ჩემი საქონლის (შაბიამანი) გავყიდე ფუთი 7 მან. 50 კ.—8 მანეთამდი. სხვათა შორის, შაბიამანი მივყიდე ვანის, მათხოჯისა და სხვა საკრედიტო და კოოპერატ. ამხანაგობებს ფუთი 8—9 მან., რომელიც ამხანაგობებმა სრულიად უმნიშვნელო მოგებით გაუნაწილა თავის სამოქმედო რაიონში მცხოვრებ მევენახე-გლეხებს. მართალია, საქონლის მცირედი ნაწილი მეც გავყიდე 9—12 მან. ფუთი. მას შემდეგ, **თფილისის სამეურნეო საზოგადოებამ** დაიწყო შაბიამნის გაყიდვა თფილისში ფუთი 13—15 მანეთად, მაშინაც-კი, როდესაც საქონელი ცოტა მქონდა და შაბიამნის ფასი აწეული იყო (ვყიდდი 12 მანეთად). მე დიდ-ჯიხაიშის საკრედიტო ამხანაგობას ფუთი შაბიამანი 11 მანეთად შევაძლიე. ამას დაამოწმებს ჯიხაიშის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრი ბ. ი. ალექსანდრე ლეჟავა. მევე განვმარტე, როდესაც ეს საჭიროებამ მოითხოვა, შაბიამნის გაძვირების მიზეზები ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე, რომელიც ახლახან მოხდა და რომელსაც ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი პოტულოვი თავჯდომარეობდა. დაწვრილებით გამოვარკვიე კრებას დღევანდელი ღირებულობა შაბიამნისა და ხაზი გაუსვი თფილისის სამეურნეო საზოგადოების მიერ დაშვებულ შეცდომას, რომელმაც უზომო ზომამდე გამოიწვია შაბიამნის ფასების აწევა, რაიც გაზეთებშიც იყო აღნიშნული. მე პირადათ იმ **საზღაპრო ფასებში**, რასაც საზოგადოთ სწერენ და ლაპარაკობენ საზოგადოებაში, 18-20-24-25 მანეთად **შაბიამანი არ გამიყიდია.** ვიმეორებ, 80—85% ჩემი საქონლისა გავყიდე 7.50—8 მანეთად, მცირე ნაწილი-კი 9 მანეთიდგან დაწყებული ვიდრე 12 მანეთამდე, ესეც იმ დროს, როცა თფილისის სამეურნეო საზოგადოების ფასი იყო 13-15 მანეთამდი.

გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ შაბიამანი ერთ თვეზე მეტია მე გასაყიდი აღარ მაქვს.*) **პეტრე გოკიელოვი.**

*) რედაქციამ შეამოწმა ბატონ, პეტრე გოკიელის ცნობები და ეს ცნობები მართალი აღმოჩნდა. **რედ.**

## დ. საჩხერე.

**დ. საჩხერე.** დ. საჩხერე ცენტრია მთელი ახლო-მახლო სოფლების. ყველა საჩხერისკენ მოაშურებს თავის ჭირნახულს გასაყიდათ. ამის გამო, გზა და ხიდი, შემაერთებელი საჩხერის ახლო-მახლო სოფლებთან, უსაჭიროესი არის. გზაზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც გაჭირვებული ადამიანი ასე თუ ისე გზას იშოვის, ხოლო უხიდობა კი ძნელია, რადგანაც დიდ წყალში ვერავინ ვერ ჩავარდება... თითქმის მთელ აღმოსავლეთ-სამხრეთით საჩხერეს მდინარე ყვირილა ჩაურბის და სწყვეტს მას მთელ წყალ-გაღმა სოფლებიდან... და თუ ხიდი არ არის ყვირილაზე, საჩხერეში შესვლა შეუძლებელი ხდება, განსაკუთრებით წყალდიდობის დროს. საჩხერისა და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლების სურვილი ის იყო, რომ ხიდი აშენებულიყო მდინარე ყვირილაზე, რადგან ძველი ხიდი წყალმა წაიღო. ამ სურვილის განსახორციელებლათ ექვსი წლის წინათ კრება მოხდა... კრებამ აირჩია ხიდის ამშენებელი კომისია, რომელსაც უნდა მოეწესრიგებია ეს საქმე.

კომისია იმ წამსვე შეუდგა საქმეს და მისი პირველი საქმის სისრულეში მოყვანა ის იყო, რომ ხუთ სამამასახლისოში (თითო სამამასახლისოში არის არა ნაკლები 8—10 სოფელი) ხიდის ასაშენებელ ფულის მოკრეფა დაიჩქარა. ეს იყო, თუ არ ვსცდები, 1910 წელს. ამის შემდეგ კომისიას დაეძინა და ხიდის აშენება ოცნებას გადაეცა... ზოგიერთი „ბოროტი“ ენა სხვადასხვა ხმას ავრცელებს ამ ფულების შესახებ, ხოლო რამდენათ მართალია ეს ხმები, მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ფული ხელმეორეთაც მოკრიფეს და ხიდის შენებას მხოლოდ 1914 წლის მარიობის თვიდან შეუდგენ.

ამის შემდეგ საქმე კარგათ მიდიოდა, მაგრამ, ნათქვამია, ნაცარქექიას საქმის გათავების დროს მიეყვინთაო, ისე მოუვიდათ ჩვენი ხიდის ამშენებლებსაც.

როცა ის იყო საქმე გათავებაზე დადგა, მაშინ შესწყვიტეს მუშაობა და ძილს მიეცენ...

მაგრამ ხიდი ისე კი იყო გაკეთებული, რომ ვაი-ვაგლახით ადამიანი ზედ გავიდოდა, და უხიდობით გაბოროტებულ გლეხებისთვის ესეც კარგი იყო.

რამდენსამე ხანს შემდეგ გამოირკვა, რომ კომისიონერებს მუშები ნისიათ უმუშავებიათ და ფულის მიცემას ცოტა ხნის განმავლობაში შეპირებიან. მუშებმა ცოტა ხანი იცადეს და ბოლოს, როცა ვერას გახდენ მიმართეს, სადაც ჯერ არს.

შედეგი ის იყო, რომ ამა წლის 14 აპრილს გაბრაზებულმა მუშებმა ხიდი აყარეს და ზედ მიმოსვლა შეუძლებელი გახადეს.

აჰა ჯერჯერობით ხიდის აშენების საქმე. ხალხმა ფული ორჯერ გადაიხადა ნახევრათ მოგვარებული საქმე, მუშების ფულის მიუცემლობით ისევ დაანგრიეს და ხალხი კი უხიდობით კვლავინდებურათ დიდ გაჭირვებას განიცდის.

**მახ. საირხელი.**

# საქართველოს ღვინოები და რუსეთის ბაზარი.

(დასასრული. იხ. „სამშობლო“ 76-ე №)

— როგორც ჩანს, ჩვენი ღვინოები დაიძრა რუსეთისკენ. ეს მეტათ სასიხარულო მოვლენაა. მაგრამ სამწუხაროისაა, რომ ეს საუცხოვო ღვინოები ჩაუვარდა ხელში უვიც ჩარჩებს, რომლებიც, მიუხედავათ სასტიკ აკრძალვისა, ახდენენ ღვინის ფალსიფიკაციას და [illegible]ნენ სახელს ჩვენს ღვინოებს რუსეთის ბაზარზე, რაც დიდ ვნებას მოგვიტანს ახლო მომავალში.

— არც ერთი სასმელი არ არის ისეთი რთული და სხვა და სხვა ღირსების, როგორც ღვინო; არც ერთი სასმელი არ თხოულობს ღვინოსავით მოვლას და რთულ ტეხნიკას. ამ სასმელის ღირსების დაგვარ განსხვავდება მისი ფასიც. არის მდარე ღვინოები, რომლებიც ბოთლი ღირს 2—3 **შაური**; არის აგრეთვე საფრანგეთის მეტათ ძველი, სურნელოვანი, მაღალი ხარისხის ღვინოები, რომლებიც ღირს ბოთლი **2—3 თუმანი და მეტიც.** ჩვეულებრივ სასუფრე ღვინოები ფასობს ბოთლი **ხუთი შაურიდან 2—3 მანეთამდე.** ტკბილი და შუშხუნა ღვინოები კი ფასობს ბოთლი **ერთი მანეთიდან 10 მანეთამდე.**

— ღვინის ღირსება დამოკიდებულია მრავალ პირობებზე. ყურძნის ჯიში, ნიადაგი, ჰავა, ადგილმდებარეობა, მოკრეფის დრო, დაწურვა, შესანახი ბინა და ჭურჭელი, მოვლა, გაწმენდა, გადაღება, და სხვა რთული მანიპულაციები,—აი ის მრავალი მიზეზები, რომლებიც ქმნიან ამა თუ იმ ღირსების ღვინოს. ამ რიგათ მევენახობა და მეტადრე მეღვინეობა მთელი მეცნიერებაა, რომელიც საუკუნეთა სვლაში განავითარეს ევროპის განათლებულმა ერებმა.

— ღვინის ღირსება უმთავრესათ დამოკიდებულია ყურძნის ჯიშზე, მაგრამ თუ მას ხელს არ უწყობს ჰავა და ნიადაგი, ისე, მარტო ჯიშიდან კარგ ღვინოს ვერ შექმნის ვერავითარი მეცნიერი მეღვინე. მე თვითონ დავლილი მაქვს და გამოკვლეული თითქმის მთელი საქართველო, ვიცნობ კარგათ საფრანგეთის მევენახობა-მეღვინეობას, ამიტომ თამამათ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ გვაქვს საუცხოვო ადგილობრივი ვაზის ჯიშები, მოგვეპოვება ბევრ ალაგს შესანიშნავი ჰავა-ნიადაგი, რომლებიც გვაძლევენ და მოგვცემენ საუკეთესო ღვინოებს. კახური **საფერავი, მწვანე და რქაწითელი,** იმერული **ოცხანური, საფერე, მგალობლიშვილი, მადლარი ანუ ანდასოული, ცოცკა, კრახუნა და ცოლიკაური,** გურუ-

# მოქალაქეთა წრე და მისი მნიშვნელობა.

წერილი III მე. *)

თუ საფრანგეთისა და ინგლისის გეოგრაფიული ვითარება აუცილებლათ ხდის აქ მცხოვრებთა საქმიანობის დაკავშირებას ატლანტიის ოკეანის დიდ სივრცესთან, თუ ეს ქვეყნები უკვე თავისი მდებარეობით, მთავარ მდინარეთა მიმართულებით, ვაკისა და მთების შესაფერისათ განსაზღვრით ბუნებრივათ გაიყურებიან დასავლეთისაკენ,—გერმანიის გეოგრაფიული ვითარება სრულებით არ უწყობს ხელს ამ ქვეყანას მთელი თავისი მასით დასავლეთთან მჭიდროთ დაკავშირდეს. ატლანტიის ოკეანე ერთად ერთი გზა ახალ ქვეყნებთან მიმოსვლისათვის, ოკეანე ერთად ერთი გზა დასავლეთ ევროპისათვის ახალშენებთა მთელი სამეფოსთან ურთიერთობის დასამყარებლათ და სწორეთ ამ ოკეანზე გასვლა შესაძლებელია გერმანიისათვის ინგლისისა და საფრანგეთის კიდეებით (ნაპირებით), რომელნიც იმ თავიდანვე მისი მძლავრი მეტოქენი იყვნენ. სამხრეთით გერმანია მოწყვეტილია ხმელთა შუა ზღვის მიმოსვლას და მასთან პირდაპირ ურთიერთობას ალპებისა და ბალკანეთის მთაგრეხილის გამო.

მხოლოდ ჩრდილოეთის მხრით უერთდება გერმანია ზღვას, ჩრდილოეთის ზღვასა ერთისა და ბალტიის (აღმოსავლეთის) ზღვას მეორეს მხრით. ეს დაშორება მსოფლიო ვაჭრობისათვის დიდ მნიშვნელოვან ხმელთა შუა ზღვისა და ოკეანისაგან გახლდათ მიზეზი, რომ კულტურული განვითარების, მსოფლიო მეურნეობაში პირველად მონაწილეობის ბედი ხვდა გერმანიაზე უწინ სხვა ქვეყნებს: იტალიას, საფრანგეთსა და ბრიტანეთს.

ამ ქვეყნებთან გერმანია მუდამ პირდაპირ ვაჭრულ დამოკიდებულებაში იყო და ამ ქვეყნების საშუალებით უკავშირდებოდა ის ოკეანესა და ხმელთა ზღვის მიმოსვლას. ამიტომ მსოფლიო ყოველი ისტორიული მოვლენა, თუმცა ცოტა ოდენი დაგვიანებით, ყოველთვის პოულობდა თავის შესაფერ ადგილს გერმანიაშიც. ვაჭრობა-მრეწველობისა და მისი სულიერი მხარის—ვაჭარ-მრეწველთა წრის განვითარება და გაძლიერება, რომლის ვითარებაც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-XVIII-ტე საუკუნის საფრანგეთსა და ინგლისში, ისეთივე დიდ-მნიშვნელოვანი იყო გერმანიისათვის, როგორც ამ უკანასკნელი ქვეყნებისათვის.

ოთხი უმთავრესი მდინარე აკავშირებს შიდა გერმანიას ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ზღვებთან: რაინი, ვეზერი, ელბე და ოდერი. ამ მდინარეებზე მეტადრე პირველზე უხვათ აღმოცენდა უკვე ძველსა და საშუალო საუკუნოებში ვაჭრობა მრეწველობის ცენტრები—ქალაქები. თავისი მდებარეობით უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვეს ამ მდინარეთა შესართავთან გაშენებულმა ქალაქებმა, სადაც თავს იყრიდა და ერთმანეთში იცვლებოდა ე. ი. ერთმანეთში გადადიოდა ზღვისა და ხმელეთის მიმოსვლა. გერმანელ ქალაქთა კავშირის ჰანზის დანგრევის შემდეგაც კი შეინარჩუნეს და გაავითარეს თავისი ვაჭრობა-მრეწველობა ნაპირებზე გაშენებულმა ქალაქებმა: ბრემენმა, ჰამბურგმა, ლიუბეკმა და სხვ. მეტადრე ეს სამი ქალაქი წარმოადგენდა მე XVIII-ტე საუკუნის გასულს გერმანიის სახალხო ეკონომიკის ძარღვთა ნასკვს. ბრემენი და ლიუბეკი იყვნენ უმთავრესათ აღმოსავლეთთან ვაჭრულ დამოკიდებულებაში (რუსეთთან, შვეციასთან, ნორვეგიასთან), ჰამბურგი კი დასავლეთთან—ინგლისთან და ამერიკასთან. ამიტომ ჰამბურგი უფრო დიდ როლს თამაშობდა მსოფლიო ვაჭრობაში. ჰამბურგის შესულ და გასულ გემთა რაოდენობა უდრიდა 2000-ს. დამზღვევი საზოგადოებანი ღებულობენ ყოველ წლიურათ 120 მილიონ დასაზღვევ ტალერს. მაშინ კი, როდესაც ინგლისსა და კონტინენტს შორის ყოველი ვაჭრული ურთიერთობა შესწყდა ომიანობის გამო, ჰამბურგი განაგრძობდა პირველობას ინგლისთან დამოკიდებულებაში: ის იყო უმთავრესი ბაზარი ინგლისში გასაყიდავ ხე-ტყის მასალისა, ხორბლეულობის და მარცვლეულობისა, აქვე იყრიდა თავს ინგლისიდან კონტინენტზე შემოსაზიდავი ყოველ გვარის საქონელი ისე, როგორც ბრემენსა და ლიუბეკში, ჰამბურგშიც დიდი გასავალი ქონდა ზღვის ვეშაპზე (китъ) თევზაობას. ამას უნდა დაუმატოთ ჰამბურგის ვაჭრობა ამერიკასთან, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობა ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკის გამო შეუძლებელი იყო 1783 წლამდე (როდესაც ვერსალში დადებული იყო ხელშეკრულება და აღიარებულ იქნა ინგლისის მიერ ჩრდილოეთ ამერიკისა და შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა). ამ წლამდე ჰამბურგი მიმართავდა ზოგვარ ხერხს დაბრკოლებათა გადასალახავათ, მაგ., ომიანობის დროს სარგებლობდა ნეიტრალურ სახელმწიფოთა დროშით (დანიის ფლაგით). ასეთმა მდგომარეობამ მიიტყუა საფრანგეთის და ჰოლანდიის დიდძალი კაპიტალი. მაგრამ როდესაც დასავლეთით ინგლისმა გამოაცხადა, რომ დროშა არ იფარავს საქონელსო და აღმოსავლეთით რუსეთმა კარი დაუკეტა ჰამბურგიდან მიმავალ გემებს—მაშინ ჰამბურგის ვაჭრობა ერთბაშათ მოემწყვდა ჰანოვერის ვიწრო ფარგალში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროებითმა შეფერხებამ თუმც ნივთიერათ დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს, სოციალურათ სრულებით უმნიშვნელოთ დარჩა, რადგან ვაჭარ-მრეწველთა წრე უკვე წარსულის გამოცდილებით გაძლიერებული და გალონიერებული იყო. თუმცა გარეშე პირობებისა გამო საქონელთა სავაჭრო მასალათა ორგანიზაცია დროებით შეუძლებელი ხდებოდა, მაგრამ თვით მომწყობი ძალა, შესაძლებლობა გარეშე წარმავალ პირობათა შეცვლით მომწყობი ძალის ამოძრავებისა, ეს სულ ახალი გვარობის საქმიანობისა უკვე მრავალ მეტყველათ იგუბებოდა ჰამბურგისა და მის მედამოების მცხოვრებთა უმთავრეს ნაწილში— ვაჭარ-მრეწველთა წრეში.

უფრო შეურყეველია შედარებით ბრემენის ვაჭრობა, რომელიც, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობდა, რომ საფრანგეთიდან შემოქონდათ ღვინო და გაქონდათ ჰანოვერის ტილოულობა. ასეთივე დაუდგრომელი საქმიანობა იყო გაჩაღებული გერმანიის სხვა კუთხეებშიც. უცხოეთის ბაზრისათვის მუშავდებოდა გერმანიაში სელი და ლითონი. თუ დართულ ძაფებს არ ვიანგარიშებთ და ანგარიშში მივიღებთ მხოლოდ ტილოულობის ქსოვილებს, ყოველწლიურათ უცხოეთში გაზიდულ ტილოულობის ღირებულობის ფასი უდრიდა 25 მილიონ ტალერს. ერთად ერთი ქალაქი ბილეფელდი ვესტფალიაში ზიდავდა საზღვარგარეთ 100 ათასი ტალერის ტილოულობას. ზემო ლუაზიცი (საქსონიაში) აწარმოებდა ყოველ წლიურად $4\frac{1}{2}$ მილიონ ტალერის ტილოულობას, აქედან გამოქონდა უცხოეთში 2 მილიონ ტალერის ტილოულობა, ქალაქ ბილეფელდის გარდა ვესტფალიაში ქალაქები ოსნაბრიუკ და მინდენი თავისი ოლქებით აწარმოებდენ 2 მილიონ ტალერის ტილოებს. სილეზიის საქსოვი ქარხნები აწარმოებდენ ყოველ წლიურათ 5—12 მილიონამდე. მეტოქეობა გერმანიას მხოლოდ 18 საუკუნის გასულს დაუწყო შოტლანდიამ და ირლანდიამ. საერთოდ კი მთელს გერმანიაში ვაჭრობა-მრეწველობა მჭიდრო ნიადაგზე იყო დაყენებული, თუმცა ის ჯერ კიდევ ნორჩი და მოუმწიფებელი იყო: მაგრამ გაზიდულ საქონელთა რაოდენობას სჭარბობდა შემოზიდულის რაოდენობა 10 მილ. ტალერით.

ტიტე მარგველაშვილი.

(შემდეგი იქნება).

*) იხილე „სამშობლო“ № 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჯანი და ჩხავერი, მეგრული ოჯალეში, და რაჭული ალექსანდროული, —აი ის შესანიშნავი ჯიშები, რომლებიც იძლევიან საუცხოვო ღვინოებს. ახმეტა, წინანდელი, ყვარელი, მუკუზანი, კარდანახი და სხვა სოფლები კახეთში, ხიდისთავი ქართლში, კვალითი, სვირი, ობჩა, დიმი, ბაღდათი, ფერსათი და სხვა მრავალი სოფლები იმერეთში, საჯავახოს მხარე გურიაში, სალხინო და მისი მიდამოები სამეგრელოში, ტოლა, ხვანჭკარა და მიმყოლი სოფლები რაჭაში,—აი ის შესანიშნავი ადგილები, სადაც ჰავა და ნიადაგი ხელს უწყობენ პირველ ხარისხოვან ღვინოების შექმნას. მე ბევრჯერ მომეცა შემთხვევა გავცნობოდი საკმაოთ ქართლ-კახეთის, რაჭა-იმერეთის და გურია-სამეგრელოს საუკეთესო ვაზის ჯიშებს და ღვინოებს, ბევრ ღვინოსთვის მე თვით გამიკეთებია ანალიზი და ვყოფილვარ ექსპერტათ სამეურნეო გამოფენებზე, ამიტომ გაბედვით შემიძლია ვთქვა, რომ ზემო აღნიშნულ ადგილების ჩვენი ღვინოები თავის მაღალი ღირსებით არაფრით ჩამოუვარდება ევროპის და კერძოთ საფრანგეთის საუკეთესო სასუფრე და შუშხუნა ღვინოებს, რომ ჩვენ გვქონდეს შესაფერი ტეხნიკა, საჯარო კაპიტალი და შეგვეძლოს ეს ღვინოები დავამზადოთ იმ წესით, როგორც საფრანგეთში. ამის მაგალითს გვაძლევენ ჩვენში რამდენიმე დიდი მემამულე, რომელთაც აქვთ ევროპიულათ მოწყობილი ღვინის სარდაფები. ასეთია საუფლისწულო სარდაფები კახეთსა და თფილისში, ამხანაგობა „კახეთია" თფილისში, ანანოვი იმერეთში, პრინცესა მიურატი სამეგრელოში და სხ.

საზოგადოთ საქართველოს ღვინოები თავის ღირსებით ბევრათ ჯობნის როგორც ყირიმისა და ბესარაბიის, ისე განჯისა და ერევნისღვინოებს. რუსეთში მეტათ მოსწონთ განსაკუთრებით იმერული მჩატე, მოტკბო, სასიამოვნო სასმელი ღვინოები. ამიტომ ჩვენი ღვინოები ადვილათ მოიპოვებოდა რუსეთში დიდ ბაზარს, დიდ გასავალს, რომ შეგვეძლოს ვამჟღავნოთ და ვაკეთოთ ისინი ევროპიული წესით.

დღეს რუსეთში მიმავალი ღვინოები ხმარდება როგორც ქსენონებს, ისე ხალხის მოთხოვნილებას. როგორც ჩანს, მთავრობამ შეიგნო ღვინის აკრძალვის მავნებლობა და აღარ დევნის მას ისე სასტიკათ. 8—9 თვის სპირტოულით ნამარხული რუსეთის ხალხი დაეწაფა ამ სალსა და სასიამოვნო სასმელს, ე. ი. ყურძნის ღვინოს. რუსეთის ხალხები თანდათან შეეჩვევიან ამ სასარგებლო სასმელის ხმარებას და მიატოვებენ წინანდელ მავნე ლოთობას მაგარი სპირტოულით და მოწამლას პოლიტურა-დენატურატით. ამ რიგათ ყურძნის ბუნებრივ ღვინოებს ამიერიდან ეხსნება რუსეთში ფართო ბაზარი და მთელის მათ მეტათ დიდი მომავალი. ჩვენ დიდი სიხარულით უნდა აღვნიშნოთ ეს ფრიად საგულისხმო მოვლენა.

ამიტომ ჩვენ და რუსეთის ყველა სალვინე მხარეებმა უნდა ვეცადოთ შევქნათ სხვადასხვა ტიპის და ღირსების ყურძნის ბუნებრივი ღვინოები და მივაწოდოთ ისინი რუსეთის ხალხებსა და საზოგადოებათ ხელსაყრელ ფასებში.

თუ როგორ უნდა მივახწიოთ ამ მიზანს, ან რა გზას უნდა დაადგეს საქართველოს მევენახობა მეღვინოობა,—ამ საგანზე ჩვენ გვექნება საუბარი შემდეგ წერილებში.

**სიმონ ქვარიანი.**

## ომაინ იესეს ძე იოსელიანი.

**(მოგონება *)**

ომაინი თავისებური კაცი იყო. ყოველი საზოგადო საქმე მისთვის „წმინდა წმინდათა" იყო.

მას ყველაფერს ანაცვლებდა, მუდამ მასზედ ფიქრობდა, თავს ევლებოდა...

არავის ცუდი ხმების მასზედ გავრცელების საბუთს არ მისცემდა.

თვითონაც დიდი თავმოყვარე, თავდაცული ფრთხილი და ზრდილობიანი ადამიანი იყო.

თავის პირად თავმოყვარეობას შკოლის თავმოყვარეობასთან აკავშირებდა და შკოლის შესახებ ცუდი ხმების გავრცელება, მისთვის ზარბაზნის ტყვიით გულის დაკოდვა იყო.

ამიტომაც ის ადვილად თავს არავის აიგდებინებდა, არც შკოლის შესახებ ცუდათ გალაპარაკებდათ..

განსვენებული დარწმუნებული იყო, რომ შკოლა და ოჯახი მჭიდროთ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. შკოლა და ოჯახი ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდენ ბავშვების აღზრდა-სწავლებაშიო, ისინი გადაბმული უნდა იყვნენ ერთმანეთზე ერთვენულის ძარღვით, ერთვენულის მაჯის ცემითო, მეტყოდა ხოლმე ხშირად განსვენებული.

ამ მოსაზრებით სამშობლო ენის სწავლებას განსვენებული დიდს მნიშვნელობას აძლევდა.

ერთ დროს ქართული ენის სწავლება კიდეც აღგვიკრძალეს და განსვენებულის შემწეობით მისი სწავლება, ნასადილევს, კერძოთ, ჩვენს ბინაზე გადავიტანეთ და უფრო მეტის ხალისით და ძალ ღონით შევუდექით საქმეს...

კაი ხანს ვასწავლიდით ასე ჩუმათ, საიდუმლოთ. ბევრჯერ გაგვიზიარებია ერთმანეთისათვის ამის შესახებ მწარე, ნაღვლიანი ფიქრები, მაგრამ სანუგეშოს მაშინ ცოტას ვხედავდით...

— ისევ სამეურნეო ცოდნას დავეწაფოთ, ვასწავლოთ ბავშვებს მეურნეობა, ხეხილის და ვაზის მოვლა-გაშენება. ეს პირველდაწყებითი სამეურნეო ცოდნა მაინც შევიტანოთ, ჩვენის შეგირდების შემწეობით, ხალხშიო, თორემ მარტო მშრალი შკოლის პროგრამით სწავლება შორს ვერ წაგვიყვანსო, მეტყოდა ხოლმე ხშირად განსვენებული.

ყვირილის სასწავლებელთან არსებობდა ჩვენს დროს სამეურნეო განყოფილება. შკოლის პატარა ბაღში ბავშვები დიდის ხალისით და ენერგიით მუშაობენ. სა(ი)ა მოვნო იყო მათი ყურება, რადგსაც მათ შორის ჯოხით ხელში იდგა განსვენებული და თავის მუშაობით-შრომით ამ ხალისს და ენერგიას კიდევ უფრო უორკეცებდა მათ...

განსვენებული თავისუფალ დროს, მუდამ ბაღში იყო და ბავშვებთან ერთად რამეს აკეთებდა. იმ დროს შკოლას ვიწრო ეზო ჰქონდა. ომაინის მაცადინეობით და შრომით, კერძო პირებმა, ვისაც ეს მიწა ეკუთვნოდა შესწირეს იგი შკოლას და ამით შკოლის ეზო უფრო გაადიდესგააფართოვეს...

თვითონ ყვირილის სასწავლებლის ორ სართულიანი ქვიტკირის შენობა, განსვენებულის ხელ-მძღვანელობით და საზოგადოების შრომა-თანაგრძნობით დამთავრდა.

მისივე მეცადინეობით და საზოგადოების დახმარებით მომავალი საქალებო განყოფილების გასახსნელათ შეიკრიბა და ინახებოდა დღემდის ხაზინაში რამოდენიმე ასი და ორასი მანეთი.

ერთი სიტყვით განსვენებული ომაინი ყოველ გვარ კეთილ დაწყებას გვერდში უდგა, უთანაგრძნობდა მას და შეძლებისა და გვარათ ეხმარებოდა, რისთვისაც ყვირილის საზოგადოებამ, სამსახურის გარეშე ყოფნის დროს თავის ღრმა პატივისცემით დააჯილდოვა და უკენჭოთ, ერთხმათ თავის ბანკის თავმჯდომარეთ ამოირჩია.

აქაც განსვენებულმა თავისებურობა გამოიჩინა. როცა დარწმუნდა, რომ ეს ადგილი მასზე უფრო ახალგაზდას უნდა ეკავოს, აქ მეტი ძალა, ენერგია, ყურადღება, ცოდნა და გამოცდილება იყო საჭირო, თავისი ინტერესი, საზოგადო საქმეს ანაცვალა. ფულებმა, კაი ჯამაგირმა ვერ მოისყიდა იგი, თავი დაუკრა საზოგადოებას და დღემდის თავის ოჯახში-ქუთაისში ცხოვრებდა.. დღეს კი ოჯახსაც ზურგი აჩვენა და საუკუნო განსვენებას მიეცა...

განსვენე! დამშვიდდი, იშვიათო მშრომელო, ბავშვების მოუსყიდელო მეგობარო კეთილო მასწავლებელო! შენი ხანგრძლივი შრომა არასოდეს უნაყოფოთ არ დარჩება! საუკუნე იყოს შენთვის ცივი სამარე, რომელიც წელს ასე დაუზოგველათ მოგვადგა და არა ერთი და ორი სახელოვანი მოღვაწე მოგვტაცა, ხელიდან გამოგვგლიჯა!..

**თეოფ. ხუსკივაძე.**

## აჭარლების დახმარება.

11 მაისს ყაუხჩიშვილის სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციის მიერ შეწირული 100 მან. აჭარლების სასარგებლოთ გადასცეს ხაზინადარს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისას, რისთვის გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

ალექსანდრე სიმონის ძე საყვარელიძემ [illegible] ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ხაზინადარს გრ. გვილესიანს გადასცა აჭარლების სასარგებლოთ 25 მან., რისთვისაც განყოფილების გამგეობა ღრმე[ს] მადლობას მოახსენებს შემომწირველს.

## დაბა-სოფელი.

**დ. ზესტაფონი.** შაბათს, 9 მაისს, საღამოს 8 საათზე მოხდა საზოგადო წლიური კრება შორაპნის მაზრის ომში წასულ ჯარისკაცთა ოჯახების დამხმარე საზოგადოებისა. ეს კრება იყო მესამედ გადადებული და უნდა ითქვას, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა წევრი დაესწრო. საზოგადოებამ დაიწყო მოქმედება წარსულ 1914 წლის ეკენისთვიდან. კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მ. პ. ა. ჩაჩავა და მდივნად მღ. კ. ანთაძე. განხილულ იქნა 1914 წლ. ანგარიში, რომლიდანაც სჩანს შემდეგი: საზოგადოებას ჰქონია 1 იანვარს 1915 წელს შემოსავალი 6382 მ. და 10 შ. —გასავალი 2108 მ. 61 კ. 1 იანვრისთვის 1915 წ. რჩება სულ 4273 მან. 89 კაპ. შემოსავალი შესდგა საწევრო გადასახადიდან—222 მან. და შემოწირულებიდან—6160 მ. და 10 შაური. 1029 მან. 51 კაპ. დაიხარჯა ჯარისკაცთათვის თბილი ტანისამოსისა და თეთრეულებისათვის. ხსენებული 2108 მან. 61 კაპ. დაიხარჯა: ა) ჯარისკაცთა ოჯახების შესაწევარი 484 მ. 50 კაპ. ბ) წამლები—17 მან. 77 კაპ. და დანარჩენი წვრილმანი ხარჯი. წევრები იყო სულ 74.

განხილულ იქნა აგრეთვე კრებაზე სარევიზიო კომისიის მოხსენება. ანგარიში და მოხსენება კრებამ მიიღო და დაამტკიცა. კრებამ დაადგინა შეიძინოთ საზოგადოების საშუალებით ორი ბოჩკა შაბიამანი ღარიბ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დასარიგებლად.

დასასრულ, წესდების ძალით კენჭი უყარეს გამგეობის ორ წევრს სამსახურის ვადის გასვლის გამო. კენჭით ვადაგათავებულად აღორჩნდა ბ. ბ. ალ წერეთელი და მ. სიხარულიძე, რომელნიც, საზოგადოების თხოვნით, კვლავ დარჩენ იმავე თანამდებობაზე მომავალ დრომდისთვის. აქედან გადმოყვანილ ერთის წევრის შ. მწოვეტაშვილის ნაცვლად, არჩეულ იქმნა აგრონომი ბ. გედევანიშვილი.

კ. გძელი.

## ომში დაჭრილი ქართ. ჯარისკაცები.

7 მაისს პათომიდან ჩამოიყვანეს და თფილისის სხვა და სხვა საავადმყოფოში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი, და ავადმყოფი ჯარის კაცნი:

**ქუთაისის გუბერნიიდან:**

სხირტლაძე, არსენ ბიჭიას ძე, ს. მრავალძალი (რაჭა) ავად არის. მოხალისე მდივანი, რომანოზ ილაკრის ძე, ს. ზორვეთი ავად არის. ჟორდანია, სარდიონ მელიტონის ძე, მოხალისე, ავად არის, ს. ლანჩხუთიდან. ბარაბაძე, ლავრენტი პორფილეს ძე, ს. მუხური, ავად არის. ხომერიკი, ილარიონ დავითის ძე, ქ. ზუგდიდი, ავად არის. ცხომარია, ალექსანდრე, ოქროპირის ძე, ს. ხორგა ავად არის. თორაძე, კალენიკე ფილიპეს ძე მოხალისე, ს. შემოქმედი, ავად არის. მელაძე, მელიტონ ბესარიონის ძე, სოფ. საზანო, ავად არის. დარჯანია, ნესტორ ანდრიას ძე, ს. ონოგია, დაჭრილია მხარში. თებლოშვილი, სერგი ნიკოლოზის ძე, მოხალისე (ოსია) ს. ჩასაფარი, დაჭრილია მარჯვენა ხელში. ბურდანაძე, პეტრე სოფრომის ძე, ს. მაიდანი, დაჭრ. მარჯვენა ხელში. კონკაძე, იოსებ გიორგის ძე, ს. ჭდილი, დაჭრილია მუცელში, მძიმეთ არ არის. ბაღდავაძე, ბესარიონ სამსონის ძე, ს. ჭყუში ავად არის. ემაძე, ყაისარ ქაიხოსროს ძე, სოფ. უჩხობი, (მოხალისე), ავად არის.

**თფილისის გუბ.**

ნათენაძე, სერგო ისიდორეს ძე, (მოხალისე) ს. გოგოში, ავად არის. ოქროპირიძე, ვანო ნიკოს ძე, ს. ქულბიტი, დაჭრილია გვერდში. გორგაძე, ვლადიმერ ესეფის ძე, ს. ზემო ხანდაკი, დაჭრ. მარჯ. ხელში. ჯანჭარაშვილი, იოსებ გიორგის ძე, ს. ეჩნისი (მოხალისე), ავად არის. ალაპიშვილი, დათიკო იოსების ძე, (მოხალისე), ს. კავთისხევი, ავად არის. ოსეშვილი, ივანე ქიტესას ძე, ს. მარტყოფი, ავად არის. თითიკაშვილი, სპირიდონ აბრამის ძე, ს. მარტყოფი, ავად [illegible] ალიკაშვილი, იოსებ შ[illegible] ძ. ს. ნაცრეთი, დაჭრილია ბარძაყში. გაბაშვილი, პავლე გარსევანის ძე, ს. ლეილიანი, ავად არის. აბრამიძე, ილია ანტონის ძე, ს. სასრათი, დაჭრილია მსუბუქად.

**ქუთაისის გუბ.:**

[illegible]ალაია, ვასილ ივანეს ძე, ს. ნაჯახოუ ავად არის.

იმავე დღეს ერევნიდან ჩამოიყვანეს და თფილისში იმყოფებიან: გეგეჭკორი, იონა ხახუსძე, ზუგდ. მაზ., ს. ცაიში, გაცივებულია. სალია, ანრია ტყვიას ძე, ზუგდ. მაზრა, ს. ჯღაში ავად არის. გიაშვილი, საბა თედოს ძე, თფილისის გუბ. ს. კონაგი, დაჭრილია თავში, მძიმეთ არ არის.

სარაყამიშიდან ჩამოიყვანეს და 11 ნუმერ საავადმყოფოში მოათავსეს: ადეიშვილი, ხალამპე გიორგის ძე, ს. საპაიჭაოდან, ქუთ. მაზ. ავად არის. ქუთათელაძე, ვასილ მიხეილისძე, ხონიდან, ავად არის.

**შ. ჟორდანია.**

P. S. როცა თფილისში ჩამოყავთ სხვა და სხვა ადგილიდან ჯარის კაცნი იმათ ათავსებენ განმანაწილებელ საავადმყოფოში № 33. აქ რჩებიან 2—3 დღე და შემდეგ აქიდან აგზავნიან ამა თუ იმ საავადმყოფოში და რომელშიაც გაგზავნიან ეს წინდაწინ არ შეიტყობა. ამიტომ არის რომ განმანაწილებელ საავადმყოფოს მისამართზე გამოგზავნილი წერილი არ მიდის დანიშნულებისამებრ და, ვინ იცის, მშობლები რას არ ფიქრობენ. ამაში ბრალი თვით ჯარის კაცთა აქვთ, რადგან ისინი არ ატყობინებენ თავის განყოფილების დებს სათნოებისას, თუ რომელ საავადმყოფოში იმყოფებიან, რომ მათი წერილები გადაუგზავნონ. ვაფრთხილებ მშობლებს, რომ ვიდრე ნამდვილ მისამართს არ შეიტყობენ, წერილებს ნუ გზავნიან, მით უფრო განმანაწილებელ საავადმყოფოს მისამართზე. ამასთანავე საჭიროა, რომ ჯარის კაცებმაც აცნობონ თავის განყოფილების მოწყალების დებს, თუ სად იმყოფებიან და სთხოვონ მათი წერილები იქ გადაუგზავნონ ხოლმე განმანაწილებელი საავადმყოფოდან. დარწმუნებული ვარ, მათ თხოვნას დები სიამოვნებით შეასრულებენ.

საჭიროა და ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

**შ. ჟორდანია.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ზედაილმის (შორაპნის მაზრა) სამკითხველოს გამგეობის წევრებს: მასწ. ელენა წერეთლის ასულს და ბ. გორგაძეს, რომელთაც თავისი შრომა არ დაიზოგეს და [illegible] სამკითხველოს სასარგებლოდ შეაგროვეს [illegible] სავთა და ნაცნობთ შორის 11 მანეთი და 6 შაური.

დიდ მადლობას [illegible] ისე აგრეთვე ისინი, [illegible] ლი არ დაიზოგეს და მით დახმარება გაუწიეს ჩვენ სამკითხველოს.

აი მათი სია:

ბლ. ოურუმიძემ—1. მანეთი. მასწ. ა. ხარატიშვილმა, მასწ. ნ. სუხიაშვილის ასულმა, პ. ნიორაძემ, დ. ახრახაძემ, მ. კამკამიძემ ათ-ათი შაური. გ. ხარატიშვილმა, გ. ებანოიძემ, დ. თუთბერიძის ასულმა, ვ. ნიქაბაძის ასულმა, მ. წერეთლის ასულმა, მარო მაჭავარიანის ასულმა, ვ. ხარატიშვილმა, ბ. ასეასძემ, გ. ტვარაძემ, ტ. ეითვიანმა, პ. კიკნაძემ, შ. კიკნაველიძემ, ა. დვალმა, ზ. კამკამიძემ, რ. ბაქრაძემ, ე. ჭანკოტაძემ. ორ-ორი აბაზი. ს. გორგაძემ. კ. მარჯავიძემ, ა. ხიჯაკაძემ, მ. დეკანოიძის ასულმა შაურ-შაური შაური.

**მასწ. ტიხონ ნიქაბაძე.**

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვუპასუხო იმ ირ. ბარამიძეს, რომელიც მიწვევს სამ. სამართალში, სამედიატორო სამართალში გაყოფას ვეთანხმები შემდეგის პირობით: 1 მტყუანი გადაიხდის 10 მანეთს აჭარლების სასარგებლოთ, 2) განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს პრესის საშუალებით. და მედიატორებათ ვნიშნავ ბ. ბ. მასწ. კალეჟდენტს და მასწ. მიხაკო იმნაძეს. ხოლო რწმუნებულათ ბ. კოკი ებრალიძეს.

**კ. ებრალიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ. ბ. ალექსანდრე და ბესარიონ საყვარელიძეებს. რომლებმაც გარდაცვალებული დედის ხსოვნის აღსანიშნავად ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ზესტაფონის განყოფილებას ექვსი გვირგვინი შემოსწირეს.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ზესტაფონის განყოფილების **გამგეობა.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

## გარეშე ცნობა.

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ იმ საქმეში, რომელშიც მე გრიგოლ გველესიანი სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე, მე სრული კმაყოფილება მივიღე მისგან და ამასთანავე ბოდიშს ვიხდი მის წინაშე იმის გამო, რომ მე, ჩემდა სამწუხაროდ. შეცდომაში შევედი და უმიზეზოთ და უსაფუძვლოთ მივმართე სამედიატორო სამართალს.

აბრამ შაბათას ძე ენუქაშვილი.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер."** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„ძ ვ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი თ ი ქ რ ე ს ტ ო მ ა ტ ი ა: ჩ ვ ე ნ ი ძ ვ ე ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა დ ა ხ ა ლ ხ უ რ ი პ ო ე ზ ი ა"**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

**თხზულებანი ჯაჭუ ჯორჯიკიასი.**

ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ძოხრიძისა—ქუთაისში.